

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის  
სხდომის ოქმი

13:00-13:45 საათი

სხდომის თავმჯდომარე: კონსტანტინე კუბლაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები –  
შოთა გეწაძე, ლაშა კალანდაძე, კახა კობერიძე, რამაზ ჟღენტი,  
მამია ფხაკაძე, გიორგი შავლიაშვილი, ვალერი ცერცვაძე

**1. დღის წესრიგის პირველი საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გადაწყვეტილების პროექტი "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის  
დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25  
სექტემბრის N1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**  
*(მომხსენებელი ვ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)*

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". აღნიშნული ცვლილების შეტანა განპირობებულია "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2012 წლის 27 მარტს განხორციელებული ცვლილებით. ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილება იწვევს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში. გიორგი პავლაძემ მუხლობრივად წარმოადგინა გადაწყვეტილების პროექტი.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხს (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის N1/120 გადაწყვეტილება).

**2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გადაწყვეტილების პროექტი "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის  
დებულების, სამტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების  
დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25  
სექტემბრის N1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**  
*(მომხსენებელი ვ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)*

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, სამტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". აღნიშნული ცვლილების შეტანა განპირობებულია "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2012 წლის 27 მარტს განხორციელებული ცვლილებით. ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილება იწვევს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებაში. გიორგი პავლაძემ მუხლობრივად წარმოადგინა გადაწყვეტილების პროექტი.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხს (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის N1/121 გადაწყვეტილება).

**3. დღის წესრიგის მესამე საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/307 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

*(მომხსენებელი ვ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)*

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/307 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული ცვლილების შეტანა განპირობებულია "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2012 წლის 27 მარტს განხორციელებული ცვლილებით. კანონში შეტანილი ცვლილება იწვევს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის რეგლამენტში. გიორგი პავლაძემ მუხლობრივად წარმოადგინა გადაწყვეტილების პროექტი.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხს (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის №1/122 გადაწყვეტილება).

**4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს #1/91 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

*(მომხსენებელი ვ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)*

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს #1/91 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტი ითვალისწინებს დასრულებულ საქმეთა სასამართლოში შენახვის 5 წლიანი ვადის შეცვლას 2-დან 5 წლამდე ვადით, რაც საქმეთა რაოდენობისა და სასამართლოს საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს დასრულებული საქმეები შესანახად გადასცეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარქივო განყოფილებას 5 წლიანი ვადის გასვლამდე. გიორგი პავლაძემ მუხლობრივად წარმოადგინა გადაწყვეტილების პროექტი.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას. (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის №1/123 გადაწყვეტილება).

**5. დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის (განცხადების) ფორმის დამტკიცება"**

*(მომხსენებელი ვ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. მიროტაძე)*

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის (განცხადების) ფორმის პროექტი. აღნიშნული ფორმა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით, მას თან ერთვის შევსების ინსტრუქციაც. ფორმის

დამტკიცების მიზანია მოქალაქეებს გაუადვილდეთ საბჭოსათვის მომართვა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით. ფორმა დეტალურად წარმოადგინა გიორგი მიროტაძემ.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საჩივრის ფორმის დამტკიცებას. (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის №1/124 გადაწყვეტილება).

**6. დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**  
*(მომხსენებელი ვ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)*

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნულ ცვლილება მიზნად ისახავს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კრიტერიუმების დახვეწასა და შერჩევის წესის სრულყოფას.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას. (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის №1/125 გადაწყვეტილება).

**7. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატების სააპლიკაციო ფორმის განხილვა**  
*(მომხსენებელი ვ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი თ. სულაქველიძე)*

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატების სააპლიკაციო ფორმის პროექტი. ფორმა დეტალურად წარმოადგინა თამარ სულაქველიძემ.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით ფორმას დაემატება განყოფილება პირის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ასევე თავმჯდომარის რეკომენდაციით შემუშავებულ იქნება სააპლიკაციო ფორმა მოსამართლეობის კანდიდატებისათვისაც. ფორმის ჩასწორებული ვარიანტი წარმოდგენილი იქნება შემდგომი განხილვის დროს.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი: ვ. ცერცვაძე

სხდომის მდივანი: თ. სულაქველიძე